



83/3-113/22 2 12012022

83/3-113/22

12-01-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
რატი ბრეგაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- დღეის მდგომარეობით რამდენი სასჯელაღსრულების დაწესებულება მოქმედებს საქართველოში.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების რაოდენობა (დაწესებულებების მიხედვით).
- რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ერთი მსჯავრდებულზე თვეში.
- გთხოვთ მომწოდოთ ინფორმაციას იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ რომლებიც განკუთვნილია მსჯავრდებულებისთვის.
- რა სახის სამედიცინო მომსახურებას იღებენ პატიმრები და რომელი სამედიცინო დაწესებულებები ემსახურება სასჯელაღსრულების დაწესებულებებს.
- სასჯელის ამოწურვის შემდგომ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია პროგრამების და ტრენინგების ჩამონათვალი

ასევე დამატებით, გთხოვთ გამოხატოთ მზაობა, როგორც პარლამენტის წევრს ჩემი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში საქართველოში მოქმედი სასჯელაღსრულების დაწესებულების მონახულების მონიტორინგის და პირობების შესწავლის მიზნით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010165924050922

№1260

31 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი №83/3-113/22 მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/765; თარიღი: 12.01.2022) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებებისა და მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

1. დღეისათვის პენიტენციური სამსახურის სისტემაში ფუნქციონირებს 13 პენიტენციური დაწესებულება;
2. პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობა (დაწესებულებების მიხედვით) გეგმავნებათ დანართი №1-ის სახით;
3. სამსახურის 2022 წლის დაბუსტებული ბიუჯეტით 1 ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული საშუალო თვიური ხარჯი შეადგენს 1 357,5 ლარს (აღნიშნული თანხა მოიცავს ყველა ტიპის ხარჯს, გარდა კაპიტალური ხარჯისა).
4. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ შემდეგი სახელმწიფო პროგრამებით:
 - C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა;
 - ტუბერკულოზის მართვა;

- აივ-ინფექციის/შიდსის მართვა;
- ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა;
- სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
- დიალიზი (დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის ფარგლებში);
- დიაბეტის მართვა.

5. პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ხელი მიუწვდებათ სამოქალაქო სექტორის ეკვივალენტურ სამედიცინო მომსახურებაზე, რაც საჭიროებისამებრ მოიცავს როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში მკურნალობას. სამედიცინო სერვისების მიწოდება შესაძლოა, განხორციელდეს პენიტენციურ სისტემაში, ასევე, არსებული საჭიროების გათვალისწინებით, სამოქალაქო სექტორის კონტრაქტორ კლინიკებში. სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის კონტრაქტორ კლინიკებს განეკუთვნება ქვეყანაში არსებული წამყვანი სამედიცინო დაწესებულებები, მათ შორის:

- შპს „ვივამედი“;
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“;
- შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“;
- შპს „მობილმედსერვისი“;
- შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“;
- შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“;
- სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“;
- შპს „ავერსის კლინიკა“;
- სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“;
- შპს „კანვენი – კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი“;
- შპს „დენტალ სთარი“;
- ინდემწარმე „კახა ბოგვერაძე“;
- შპს „ლითოტრიფსია“;
- შპს „მ. ზოდელავას პემატოლოგიური ცენტრი“;
- სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“;

- შპს „აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი – შპს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;
- შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“;
- სს „ევექსის ჰოსპიტლები“ – ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი;
- შპს „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“;
- შპს „ნიუ ჰოსპიტალსი“;
- შპს „მედ-დიაგნოსტიკა“.

6. სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ ბენეფიციართათვის განხორციელებული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების ჩამონათვალი გეგმავნებათ დანართი №2-ის სახით.

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“ ახორციელებს სხვადასხვა სახის პროგრამას პენიტენციურ დაწესებულებებში და მის გარეთ. პროექტები მიმართულია მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე, ასევე, მათ დასაქმებაზე.

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსები იგეგმება მსჯავრდებულთა საჭიროებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, წინასწარ მოცემული და განსაზღვრული აქტივობების ჩამონათვალი არ არსებობს.

2021 წლის განმავლობაში ცენტრმა სხვადასხვა დაწესებულებაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების აქტივობები:

- ენების შემსწავლელი კურსები (ქართული, ინგლისური, რუსული, გერმანული, თურქული);
- ტრენინგკურსი „მენარმეობა“;
- გრაფიკული დიზაინი;
- პროფესიული კურსი „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“;
- პროფესიული კურსი „ბულალტერია“;
- პროფესიული ორიენტაცია;
- IT მომზადების ზოგადი კურსი (საწყისი დონე);
- აგრარული განათლების კურსი „მეფუტკრეობა“;

- აგრარული განათლების კურსი „გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა“;
- აგრარული განათლების კურსი „მელვინეობა-მევენახეობა“;
- აგრარული განათლების კურსი „მცენარეთა დაცვა“;
- აგრარული განათლების კურსი „ხორბლის მოვლა-მოყვანა“;
- აგრარული განათლების კურსი „თხილის მოვლა“;
- ჟოლოს მოვლის კურსი;
- ზოგადი უნარები;
- მართვის მონმობის თეორიული კურსი;
- კომპიუტერული გრაფიკა;
- კომპიუტინგი.


დასაქმების პროგრამები:

- ყვავილების სათბური;
- სასოფლო-სამეურნეო პროექტი;
- დიგიტალიზაცია;
- მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა/გაყიდვა.

დანართი: 2 (ორი) ფაილი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე

სსიპ "დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო"- ში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ ხორციელდება ბენეფიციარებისათვის შემდეგი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების მიწოდება :

პროგრამის სახელწოდება	პროგრამის ტიპი	მიზანი
1. „ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირობით მსჯავრდებულთათვის“	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთათვის ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება. არსებული მდგომარეობის შემსუბუქება, დამოკიდებულების შემცირება/ მოხსნა.
2. ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	დამოკიდებულების მქონე პირების მიერ რემისიის პერიოდის შენარჩუნება და ჩავარდნის პრევენცია.
3. გათავისუფლებისათვის მზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: - საკუთარი თავის ანალიზი, - პენიტენციური სტრესი და ნასამართლობის სტიგმა, - სოციალური უნარები, - მომავლის დაგეგმვა.	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	გათავისუფლების შემდგომ რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, საკუთარი საჭიროებების გაანალიზების, სტრესის დაძლევის, სოციალური უნარებით აღჭურვისა და მომავლის დაგეგმვის საშუალებით
4. ეფექტური კომუნიკაცია	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	კომუნიკაციის უნარების განვითარება მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის
5. თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	ბენეფიციარებისთვის, პიროვნული ზრდის ხელშეწყობა, თავდაჯერებულობის, თვითრწმენის გაზრდა, საკუთარი თავის, თვისებების მიმღებლობა და ადეკვატური თვითშეფასების განვითარება.
6. „პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული“	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	პენიტენციური დაწესებულებიდან ახალი გათავისუფლებული ბენეფიციარებისთვის კრიზისული, სტრესული მდგომარეობის შემსუბუქება, სტრესის გამკლავების მექანიზმების სწავლება.

7. საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა,	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	სოციალური და პრაქტიკული უნარების განვითარება იმისათვის, რომ ბენეფიციარებს გაუადვილდეთ გარემოსთან შეგუება და შეძლონ აგრესიული/ანტი-სოციალური ქცევის გარეშე დასახული მიზნების მიღწევა.
8. სოციალურ გარემოში ადაპტაციის პროგრამა	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	პენიტენციური დაწესებულების შემდგომი სტრესული და ადაპტაციური სირთულეების მქონე პრობაციონერების მდგომარეობის შემსუბუქება, მათი მომზადება გათავისუფლების შემდგომი ცხოვრებისთვის და ისეთი უნარებით აღჭურვა, რაც ხელს შეუწყობს მათი რესოციალიზაციის პროცესს.
9. ცხოვრების ჯანსაღი წესი	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	ანტი-სოციალური და/ან რთული ქცევის მქონე მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უსაფრთხო ქცევის დანერგვის ხელშეწყობა, მათთვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებისა და სარისკო ქცევებისაგან დამცავი სოციალური უნარებით აღჭურვის საფუძველზე.
10. ცხოვრებისეული ფასეულობები	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	მონაწილეების ფასეულობითი ორიენტაციის გამოვლენა, ცხოვრებისეული ფასეულობებისა და ცხოვრებაში წარმატების თანაფარდობის გააზრება.
11. ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	სარისკო ქცევის გააზრება და პიროვნული რესურსების იდენტიფიცირება მასთან გასამკლავებლად
12. მომავლის დაგეგმვა	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	ბენეფიციარის მიერ სამომავლო მიზნების იდენტიფიცირება, მათი არსებობის მნიშვნელობისა და მიღწევის გზების გააზრება. მომავლის პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბება, მოტივაციის ამაღლება, ცხოვრების ალტერნატიული გზების დასახვა.
13. დანაშაულის გაცნობიერება	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	დანაშაულებრივი ქმედების კომპლექსურად გააზრება, სხვადასხვა პერსპექტივიდან
14. კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებისა და მისი თავიდან აცილების გზების გააზრება, კომუნიკაციის პროცესში ასერტული უნარების გამოყენების წახალისება.
15. ბრაზის მართვა	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	უნარ- ჩვევების შექმნა, რომლებიც დაეხმარებათ მართონ საკუთარი ემოციები კრიტიკულ სიტუაციაში, დაფიქრდნენ მიზეზებზე და

		წინასწარ განჭვრიტონ შედეგები, აღმოაჩინონ ბრაზის სტიმულატორები, როგორც გარემოში, ასევე საკუთარ თავში.
16. „პოზიტიური უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა“	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	პროგრამა ორიენტირებულია პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების დასწავლის საშუალებით დანაშაულის რისკების შემცირებაზე.
17. ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლის სასწავლო კურსი - გენდერული ძალადობა	ფსიქო-სოციალური ქცევის კორექციის პროგრამა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ძალადობრივი ქცევის მართვა, ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება; ✓ ემოციების მართვის და ემპათიის გამომუშავება ძალადობის მსხვერპლის მიმართ; ✓ გენდერული როლებისა და ძალადობის გამოყენების შესახებ აზროვნების შეცდომების და რწმენა-შეხედულებების მოდიფიცირება; ✓ ძალადობრივი ქცევების რეციდივის პრევენცია; ✓ პრო სოციალურ უნარ-ჩვევების განვითარება კონფლიქტის მოგვარებისათვის; ✓ პარტნიორულ ურთიერთობებში თანასწორობასა და პატივისცემაზე დამყარებული ქცევითი ნორმების განვითარება.
18. ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის;	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა	პროგრამა ორიენტირებულია მსჯავრდებული ქალების გაძლიერების, თვითშეფასების ამაღლების და საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებზე.
19. როგორ დავეხმაროთ მოზარდებს	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის, მშობლებისთვის)	მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების სწავლება, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტების გაცნობა, სწორი ხედვის ჩამოყალიბების და მოზარდებთან ურთიერთობის მიზნით.
20. „ძალადობის რაობა და ძალადობისაგან დაცვის საკანონმდებლო მიმოხილვა“	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის, სპეციალისტებისთვის)	ოჯახში ძალადობის რისკების შემცირება/ აღმოფხვრა, რეციდივის პრევენცია.
21. მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა - შშმპ, ლგბტქ, ეთნიკური უმცირესობები	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის)	ცნობიერების ამაღლება, მიმდებლობის გაზრდა მოწყვლადი ჯგუფებისადმი

22. საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის)	ბენეფიციარებისთვის მათი უფლება-მოვალეობების გაცნობა, ასევე, არსებული გარე რესურსების (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, დასაქმების) შესახებ ინფორმაციის მიწოდება
23. ადამიანის უფლებები	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის)	ცნობიერების გაზრდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით
24 . ოჯახი და მისი მახასიათებლები	საინფორმაციო ხასიათის (სპეციალისტებისთვის)	სოციალური მუშაკების პროფესიული ცოდნის გაღრმავება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულისა და მისი სოციალური გარემოს შეფასების, საჭიროებათა ანალიზისა და შიდა სარეაბილიტაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად
25. სუიციდის პრევენციის პროგრამა	საინფორმაციო ხასიათის (სპეციალისტებისთვის)	სუიციდი რისკის მართვის, განზრახ თვითდაზიანების შესახებ ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება.
26. ტრეფიკინგი	საინფორმაციო ხასიათის (ბენეფიციარებისთვის)	ცნობიერების ამაღლებასთან ერთად ტრეფიკინგთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივი ჯგუფების მიხედვით
დაწესებულებებში**

(31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წელი)

№	დაწესებულებები		ბრალდებული			მსჯავრდებული			საერთო
			კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	№2 დაწესებულება		434	0	434	598	0	598	1032
2	№3 დაწესებულება		2	0	2	41	0	41	43
3	№5 დაწესებულება	ს/ქ	0	37	37	0	260	260	297
		ა/ქ	0	1	1	0	1	1	2
4	№6 დაწესებულება		10	0	10	168	0	168	178
5	№8 დაწესებულება		1341	0	1341	1317	0	1317	2658
6	№10 დაწესებულება		1	0	1	260	0	260	261
7	№11 დაწესებულება		0	0	0	22	0	22	22
8	№12 დაწესებულება		1	0	1	266	0	266	267
9	№14 დაწესებულება		0	0	0	701	0	701	701
10	№15 დაწესებულება		0	0	0	1841	0	1841	1841
11	№16 დაწესებულება		0	0	0	234	0	234	234
12	№17 დაწესებულება		0	0	0	1501	0	1501	1501
13	№18 დაწესებულება		36	0	36	128	2	130	166
სულ			1825	38	1863	7077	263	7340	9203

განმარტება: „ს/ქ“ - სრულწლოვანი ქალი; „ა/ქ“ - არასრულწლოვანი ქალი.